

მწყეპსი



მე ვარ მწყეპსი კეთილი: მწყეპსიან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრფთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 შოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

1339

1883—1893

15 იანვარი

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი :

„მ წყ ე მ ს ი“	„მ წყ ე მ ს ი“	რუსული გამოცემით
12 თვეთ 3 მან.	12 თვეთ 5 მან.	
6 — 2 —	6 — 3 —	

შულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
 В. Каврица, в редакцию „Миссионеръ и Пастыръ“.

შველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იკმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაკებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაისის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს. სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ჩენი გრძნობანი და მოსაზრებანი ახალი წლის დამდეგს,

გათავდა 1897 წელიწადი და დადგა ახალი 898 წელიწადი. ერთი წელიწადი მოემატა ჩვენს ცხოვრებას. ერთი წლით მივუახლოვდით ჩვენს უკანასკნელ დღეს, იმ საშიშარ დღეს, როცა ჩვენი ხეული მიიქცევა მიწისადნობისაგან, რომლისაგანაც არის გაშენებული ქვეყნის შეფენილისაგან; როცა ჩვენი სეულის მანქანა, რომელიც ასე გასაოცრად, ასე

ბრძნულად და გასაკვირლად არის აგებული, დადგება და დაიშლება.

დიდი ხანია, რაც შემოდებულა ახალი წლის პირველი დღის დღესასწაულობა, მაგრამ ეს დღესასწაულობა ყოველ დროს ერთნაირად არ სრულდება ყველგან და ყველასაგან. ძველ დროში სხვა გვარად დღესასწაულობდნენ ახალი წლის პირველ დღეს და ეხლა სხვაგვარად დღესასწაულობენ. ძველ დროში, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ახალს წელს ლოცვითა და ღვთის ვედრებით ეგებებოდნენ და მას ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მომავალი ახალი

წელიწადი ყოფილიყო მათთვის ბედნიერი და კეთილი; ახალს წელს ეგებებოდნენ შიშით და კრძალვით. პირველ დღეს უთუოდ მიიპატივებდნენ კეთილი ფეხის მაკლდეარს, მიუცილებლად ოჯახიდან ოთხი ხუთი წავიდოდა ეკლესიაში სალოცავად და მხურვალე გულით შესთხოვდა ქვეყნის შემოქმედს და დროების დამაარსებელს ყოველს კეთილს თავისა და თავის ოჯახისათვის...

დღეს როგორღა დღესასწაულობენ ახალ წელს? დღეს, რასაკვირველია, დრო შეიცვალა, დღეს „განათლება“ შემოვიდა, სწავლა-მეცნიერება გავრცელდა და ეს დღესასწაულობაც სხვა რიგათ სრულდება!... დიდის ქეიფით და თოფის სროლით ისტუმრებენ ძველ წელიწადს და შამანიის და მაგარი სასმელებით საესე ქიქებით ეგებებიან ახალ წელს 12 საათის გათავების დროს, შუალამისას. მაგარი სასმელებით გაჟღერებული ერთი ხრილით და აღტაცებით მოელოიან პირველი საათის დადგომას ნაშუალამეგს და გათენებამდისინ ქეიფობაში ატარებენ დროს. ახალი წლის პირველ დღეს დიდათ დაქანცულნი შუადღისას ძლივს ძლიობით იღვიძებენ და მოჰყვებიან სიარულს თავიანთ ნაცნობებთან მისალოცავად. დიად, ასე შესცვალა ჩვენში ახალი წლის დღესასწაულობა სწავლა-განათლებაში... ნამეტან ბედნიერებას ვსურვობთ ერთი ერთმანეთისათვის, ბევრი კარგი გეწადია ჩვენი მოყვისათვის, ჩვენი თავისათვისაც ბევრს კეთილს ვნატრობთ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენი ნატვრა, ჩვენი სურვილი არ სრულდება. იმედი გვაქვს და, ვითომც, ვცდილობთ, ზნეობითად გაფაქიზებას, მაგრამ ჩვენს საზოგადო ცხოვრებას არა ეტყობა რა ისეთი საოცარი საქმეები სრულდება, ისეთი ავაზაკობა ხდება აჭი-იჭი, რომ სრულებით არ ამტკიცებს ჩვენს ზნეობით გაუმჯობესობას, ჩვენს ზნეობით ამბობს, ჩვენს განათლებას და სწავლას...

ჩვენი ცნობის მოყვარეობა ყოველ დროს და განსაკუთრებით ახალი წლის დამდეგს ცდილობს, რომ მომავალს ზეწარი ახადოს და შეიტყოს, თუ როგორი იქნება მისთვის დამდეგი ახალი წელიწადი? რას მოუტანს იგი მას? ვიქნებით თუ არა ბედნიერნი ახალ წელიწადში და შევიძენთ თუ არა სიმდიდრეს, რომლის მოპოვება ზოგს მოსვენებას არ აძლევს. ყველას უნდა შეიტყოს, მომავალ წელიწადში იქნება იგი კოცხალი და შეეძლება შეიღებოს და ოჯახობის

მოვლა და აღზრდა, თუ არა და რამდენი რამე კიდევ სხვები არ უნდა შეიტყოს ჩვენმა გონებამ, მაგრამ ყოველივე მომავალი ჩვენთვის დაფარულია; დაფარულია ესეები ქვეყნისა და კაცის ყოველად მოწყალე შემქმნელისაგან ჩვენდა საკეთილდღეოდ, ჩვენდა საბედნიეროდ. ვინ იცის, როდესაც ჩვენ გრძელ ვამიერ ცხოვრებას ველით, იქნება ერთი კვირის შემდგომ საფლავს მივეცეთ, როცა ოჯახობაში ტკბილ ცხოვრებას ველოდებით, მცირეს ხანში ოჯახობა აირიოს და იგი (ოჯახური ცხოვრება) ჯოჯოხეთს დაემსგავსოს. შეიძლება, ყველა ჩვენი იმედი გაცრუდეს, მაგრამ შენ რა შეგეძინება წინდაწინ ამავების შეტყობით. შენ მტკიცეთ უნდა იყო დარწმუნებული, რომ ქვეყანაზე რაც ხდება ღვთის განგებით, ყოველივე ეს ხდება ჩვენ ვამოსაფხიზებლად ჩვენ სასწავლებლად და ჩვენდა საკეთილდღოდ.

ქეშმარიტი ქრისტიანის გულს და გონებას განსვენებას არ აძლევს მეორე ცნობის-მოყვარეობა ძველი წლის დამდეგს და ახალი წლის დამდეგს ეს ჩვენი ცნობის მოყვარეობა მეცადინობს შეიტყოს, თუ როგორ გაატარა კაცმა ძველი წლის წელიწადი? მართალია, და როდეს უნდა შეიტყოს კაცმა ყოველივე ესეები, თუ არა ძველი წლის დამდეგს? ყოველი ქეშმარიტი ქრისტიანი ვალდებულია ძველი წლის დამდეგს კარგად გამოიკვილოს, თუ როგორ გაატარა მან ძველი წელიწადი: როგორ მოიხმარა მან ერთი წლის დრო თავის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და საკეთილდღოდ? რა აზრებით და მისწრაფებით იყო იგი აღმსურვილი? როგორი აზრებით მოქმედებდა იგი წარსულ წელში? შეასრულა მან წარსულ წელში ყველა ის, რაც დაველებული ჰქონდა მას ღვთისაგან და შეკაცისაგან? უნდა დასდგა ერთის მხრით მცნება ღვთის და მეორეს მხრით მოიგონო ყოველი მოქმედება შენი, წარსულს წელში ჩადენილი. აი ამ სარკვეში შედინახავ შენ ყველა შენს მოქმედებას, თუ როგორ მოგატარე შენ დრო წარსულ წელში და რა სიკეთეს როუნდა მოელოდე მომავალ ახალს წელში. სასიერებოა, ყველა მაგრამ სჯობს გულ წარსულად აღიარო, ცოდვად

დაფარო, რომ წარსულს წელში შენ ღმერთი არ გახსოვდა, შენი შემქნელი და შენი მოწყალე და მზრდელი, არ შეგიწირავს მისთვის მადლობა იმ მოწყალეობათვის, რომელთაც შენზედ მოავლენდა იგი, არ გაგიცია მოწყალეობა და არ შეგებრალეობა გაქირვებული; ღმერთზედ კი არ იყავი დაიმედებული შენს საქმეებში, არამედ მეგობრებზე ზნაცობზე ქონდა დამყარებული იმედი და სასოება; უმეტესად ცდილობდი სასმელ-საქმელზე, სყიდვა-გაყიდვაზე, სიმდიდრის შექნაზე და მოგებაზე და იქნობამდის იყავ გატაცებული ამ ქვეყნიური სიმდიდრის შეძინებით, რომ დროც აღარ გქონდა სულით ამალღებულები იღვთისადმი, რომლისაგან მიენიჭება კაცს ყოველივე. ღვთის სახელს ხშირად ხმარობდი ამაოთ და ტყუილზე. არ იყო შენთვის უქმი ღვთები, კვირა-უქმე ღვთებს ატარებდი ზარბაზნობაში, ცუდათ. ნაცვლად იმისა, რომ შენ ამ ღვთებში შეგესვენა და გეფიქრებია ღმერთზე, დროს ატარებდი ქეთობაში, ლოთობაში და გარყვნილებაში. შენთვის არ არსებობდა მარხვა და ამისთვის შენი სხეული უფრო ცხოველების სხეულს დაამსგავსე. შენი სვინილისი არ გაგიწმენდია მონანებით, არ გისარგებლებია შენ ეკლესიის ბრძნული და მოყვარული ღვთის მსგავსი დარიგებით, რომელსაც ის მოუთხორობს ყოველთა მის ქეშმარიტ შეილთა. უნდა გამოტყდე, რომ შენ ლოცვით არ შეგიწუხებია თავი, სულ კოტა შრომაც კი არ მიგიღია შენი სულის ასამალღებლად, როდესაც სხვა დროების გასატარებლად მთელი ღამე გავითევია თუთუნის ბოლისაგან აქოთებულ ოთხხში და სტოლიდან გადანაწმენდი მელის მტვერიან ჰაერში. არ გიცია პატივი მშობლებისთვის და ხშირადაც მომხდარა, რომ შენ გაგიკიცხავს ისინი კიდევ. არა თუ პატივი არ გიცია შენი მოძღვრისათვის, არამედ ხშირად უკადრისათაც მოგხსენებია იგი და განგიკიცხავს. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ვცხოვრებდით უწმიდურად. ჩვენ არ გვიყვარდა მოყვასი ქრისტიანობრივი სიყვარულითა, ვიყვარდა მხოლოდ ჩვენიანი, ჩვენი მეგობარი, გვიყ-

ვარდა მოყვასი პირადი ანგარიშებით და არა სახარებისური სიყვარულითა. თუ კარგად და დაკვირვებით ჩაიხედდეთ ჩვენი სვინილისის სარკეში, დაინახავთ, რომ ფარისევლობას, შურიანობას და მთავრობის მოყვარებას შეუპყრევართ მრავალნი. არ მოგვეწონს სხვისი დაწყებული, სხვისი მოთავეობით დაარსებული საქმე, რაც უნდა სუსტნი და გონება დაზღუდებულნი ვიყვნეთ, მაინც ჩვენი «მე» ღიდათ მიგვჩნია და ქვეყანას თავს ვაწონებთ, როდესაც ღირსი არ ვართ თავ-მოწონებისა. განქრა გულწრფელობა!.. ჩვენ ვითხოვთ გულწრფელნი იყვნენ ჩვენდამო, როდესაც ჩვენ თვითონ შავი გულის მეტს არავის ვაჩვენებთ.

თუ ასე გავარჩევთ ჩვენს მოქმედებას ჩაიხედადეთ ჩვენი სვინილისის სარკეში, ვნახე მეტი რაღა უნდა ვისურვოთ ჩვენი თავისათვის ახალი წლის დამდეგს?! «მოგვილოცავს ახალი წელიწადი ახალის ბედნიერებით», ვეუბნებით ხოლმე ერთმანეთს ჩვენ ჩვეულებრივად ახალი წლის პირველ დღეს. კეთილი სურვილია, თუ ბედნიერებად ვიგულისხმებთ იმას, რაც მართლა შეადგენს კაცის ნამდვილს ქეშმარიტს ბედნიერებას და ახალ ბედნიერებად ვიგულისხმებთ ჩვენი ძალისა და ნიჭის სრულს განათლებას. გონება ჩვენი გაბრწყინებული ქრისტეს სინათლითა, გული პატიოსანი და გამსჭვალული ღვთისა და მოყვასის სიყვარულით და ღმერთზე დანდობილი ჩვენი ნება-აი სწორეთ რა შეადგენს ქეშმარიტ ბედნიერებას, რომელიც მოგვანიჭოს ჩვენ ყველას ღმერთმა, ჩვენო ძვირფასო მკითხველო!..

დ. კ. დ. ღამბაშაძე.



ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო

(ჩვენება)

საბ

როგორც დაღამდა უკანასკნელი
რიცხვი გასრულის დეკემბრის თვისა,
თვალი დაეხუჭე, ძილად მივეგდე,
დაღონებულმან უნდოის წლისა.

მაშინ მე ძილში, თითქო ლოდინში,
უცხო სურათი წინ წარმომიდგა;
ვითომც თოვლიანს მიდორსა ტრამალს
ქაბუკი ვინმე მორთული იდგა.

სახით ბრწყინვალით, პირ-მომცინარით
ჩემსკენ ნაბიჯი გამოატარა;
დამიახლოვდა, მომესალამა,
გული დამიტკბო და გამახარა.

შევხედე,-ვიგრძენ რაღაც საამო
სულის წადილის მასშიდა ძალა,
მეც თაყვანი ვეც, თავი დავხარე,
ცნობის სურვილმა დია დამძალა.

გკითხე: „ქაბუკო, ვინა ხარ, ვინა,
მშვენი ჰასაგით აღნაგებული?
ვისი წალკოტით ხარ მოვლენილი,
უცხო ყვავილი სხივ ფინებული?“

მაშინ ღიმილით იმან მომიგო:
„გიხაროდენინ ახალი წელი!
რასაც ნატრობდი, იმას მოგიძღვნე,
ვარო მეკვლევი მე სასურველი.“

ამ დროს ვნახე, მას ეჭირა ხელში
შარჯვენით ჯვარი, ეს წმიდა წინდი,
მეორეს ხელით მას აღემართა
„დროშა“ მალაღი, ძლიერი-დიდი.

და თანვე მისსა სპეტაკსა მკერდზედ
ჰქონდა ოლარი ზედ-კიდებული,
ოქროს ასოთი ის წარწერილი,
სხივთა მაფრქვევი,-განბრწყინვებული.

თან წამიკითხა თითონ ქაბუკმან
შემდეგი სიტყვა ეს საგრძნობელი:
„ათას რვაასი ცხარა ათ-რვაამეტი
მე ვარო ესე ახალი წელი.“

მომაქვს საქვეყნო საბედნიეროდ
წინა სრბელობა ცხოვრების გზისა,
და ამ პაწია საქართველოსაც
ზეციით მანანა დღეს მოეძღვნისა.

მომაქვს იმედი განწირულებთა,

მისი დამხსნელი ძლიერი ძალა,
რომ აღედგინოს მათ სულის სიმხნე,
რომელს დროთ ბრუნვამ გამოაცალა.

მომაქვს თვისება მამა პაპური,
დღეს კი აღგვილი მათში ის რწმენა;
სარწმუნოების და მამულისა
პაპისებური მტკიცედ დაქერა.

მომაქვს სამსჯავრო სამართლიანი,
მაცხოვრის მცნებით დაწესებული;
სუსტსა და ძლიერს, მშვენს და მანკიერს
ექნეს ერთ-გვარად კარი ღებული.

წარვხოცე შური, მტრობა და გესლი
ბოროტობისა ეშმაკეული,
და დავამკვიდრო მათ შორის რწმენა
სამღვთო, უბიწო, მისათნეული.

მომაქვს ზოგადი მოყვასთ თვისება,
ძმობა ერთობის სიმტკიცე მარად;
კაცთა ხსნისათვის ჯვარცმული ღმერთი
გეყოსთ მფარველი, მწე-დასახმარად“.

რა გარდიკითხა ქაბუკმა ესე,
მან მომაწოდა ჯვარი ძლიერი,
მე ვეანბორე მუხლ-მოდრეკილი
ამა მოვლენით სრულ ბედნიერი.

ამა მოვლენით, სანეტარო ხმით
მე განმინათლდა გონება-გული;
გამომელევიძა, ჩემს წინა იდგა
დასტურ მეკვლევი ჩვეულ-მორთული.

იმას ეჭირა წმიდა სანთლები
და დროშისა წილ „ჩიჩლაკი“ დიდი,
გულზედ ესვენა წმინდა ნაწილი
ნაცვლად ოლარის ჩამონაკიდი.

და მომილოცა ახალი წელი
იმავ სიტყვებით, რაც არის თქმული,
თანც მომაწოდა მე საანბოროდ
ხატი მის გულზედ დასიგნებული.

მაშინ იმაშიდ თითქო განცხობილდა
იგი ქაბუკი მოჩვენებული,
და გამიხსნევა იმედით გული,
უნდო დროთაგან ესდენ ვნებული.

ესრედ, თქვენც ძმანო, გილოცავთ ამ წელს,
შეება მოკული, გულ-მხიარული;
გისურვებთ ჩვენდა აწ სასიგე-ბედოდ
რომ აღგვისრულდეს სიტყვა აღთქმული.

თ-ლი რუსტომ (გუბა) ჩიქოვანი.

მეფე ერეკლეს გარდაცვალებიდან ასი წლის
შესახებინა გამო *

(11 იანვარი, 1798 წ.)

დასწავლულა მეფე ერეკლე. სენი მეფისა იყო
ყლით მანკირება...

შემდგომად არა მრავლისა ჟამისა მოვიდა სენი
იმსურელი ტფილისს, რომელსაცა ქართველნი ჰირ-
უხმობენ. მაშინ, ვითარცა არს ჩვეულობა ტფი-
ლისისა ერისა, ვინა სხვა მცხოვრებთა საქართველო-
თა, რომელ თუ სადმე მოვალს სენი მომსვრელი,
აერიდების ერი და განვლენ ქალაქით დედაწული-
ურთ, გარე ქალაქისა შიგელთა და კეთილთა ჰაერ-
ს ქვეშე და იმყოფებიან მუნ და ოდეს შემსუბუქ-
ებიან მცხოვრებნი ქალაქისანი, ამისთვის სენი არა
ნაძლივ დაადგრების, ამისთვის ბრძანებითა მეფის
რითა განვიდეს მცხოვრებნი ტფილისისანი გარე-
თა ტფილისისათა რომელთა და კეთილ-ჰაეროვანთა
ჯგილთა. ხოლო მეფის ძემან მემკვიდრემან გიორგი
რაველინა სახელეულობანი თვისნი ქსნის ხეობასა
და, მკირცა ქალაქსა თვისსა ახალ-გორს, და თვით
ჩვიდა თელავს, წინაშე მამისა თვისისა, ვინაიღვან
წამსა მიიღო წერილი მამისა თვისისა, რომელ-
ცა ეხმო თვისთანა.

წელსა 1798, იანვრის 5-სა ესრეთ შემძიმდა
ვე სენითა ამით, რომელ საგონებელი იყო სიკვ-
ლი მისი. გარნა შემდგომად სამისა საათისა, რო-
მელსაცა ვითარცა მკვდარი იღვა სარეცელსა ზედა
ბისსა, მახლობელ მწუხრისა ჟამისა კვალად მოეგო
ესა თვისისა და განცოცხლდა. და ესე ოდეს მხენ
ო იგი მოხუცებულებასა და ეგრეთსა სწეულებასა
ნა მყოფი, რომელ შემდგომად ესრეთ დაძიმებუ-
ლისა მისგან სენისა მობრუნებისა, კვალადცა მსახურ-
თვისთა შეწვენითა, რომელნიც უპყრობდეს
ლავთა, აღსდგის სარეცელით თვისით და საქირო-
ისათვის ბუნებითისა განვიდის იგი გარეგან სახლისა
და ეგრეთ მოიქცის საწოლადვე თვისად.

ხოლო მწუხრისა დღისა კვირიკისასა, რომელი-
განთენდებოდა ორშაბათად, ათერთმეტსა იან-
ისა რიცხვად, შემძიმდა ფრიად. და განთიად,
იღამიღვან მეწვიდესა ჟამსა გარდაიცვალა დიდე-
რი, სახელოვანი ესე მეფე ირაკლი მეორე, ძე
ესა თეიმურაზ მეორისა, წელსა განხორციელები-
ნ სიტყვისა მღრთისა 1798-სა, შობითგან თვისით
თხმოცესა შინა წელიწადსა, სახლსა და პალატსა
შინა სამეფოსა, თვით მასვე საწოლსა შინა, რო-
მელსაცა შინა იშვა სახელოვანი ესე მეფე, აღსრულა.

* მოგვყავს აქ ზოგიერთი სტატიები და ლექსები მეფე
ლეს შესახებ საზოგადო ჩვენი ისტორიიდან. დღეს, მე
ებ, ყველას სისიამოვნოდ უნდა დაურჩეს ამ ცნობათა
თხვა. მომავალ ნომერში ჩვენ ვეცდებით მოვათავსოთ
ერეკლეს სურათი.

იქმნა უკვე მა ჟამსა შინა დიდი გლოვარება
სისხლსა შინა სამეფოსა და ყოველთა ერთა შორის
საქართველოსათა.

შეამკეს უკვე გვამი მეფისა ირაკლი მეორისა
ჯეროვანისა პატივისცემითა და იყოფოდა მაშინ კა-
თოლიკოსი მწყემსი სულიერი სრულიად საქართვე-
ლოსა ანტონი მეორე, ძე ამა მეფისა ირაკლისა. და
შემოკრბეს სხვანი ყოველნი მღვდელ-მთავარნი სრუ-
ლიად საქართველოსანი ბრძანებითა კათოლიკოსისა-
თა და ყოველნი ჩინებულნი სამღვდლონი და გა-
ნაშენეს და აღასრულეს მათ წესი იგი მიცვალბეუ-
ლისა მეფისა.

დღესა ორმოცსა ესვენა გვამი მეფისა ირაკლისა
თელავს, რადგან მოვიდოდიან კახეთით, ქართლით
და ყოველთაგან სამეფოთა მისთა დედა-წული თურთ
მცხოვრებნი და ჰყოფდეს იგინი გოდებასა და ტყე-
ბასა დიდთა გვამსა ზედა მისსა. ყოველნი, თვითო-
ეულნი გვარნი მცხოვრებნი ქართველნი კავკასიისა
მთათაგანნი და თათართაგან საქართველოსათა და
სხვათაგან ყოველთაგან აღგილთა მოვიდოდიან და
ჰყოფდენ გლოვასა წესისამებრ მათისა.

ხოლო დღესა ოცსა ესვენა გვამი იგი მომ-
კვდრისა მეფისა სამეფოსა პალატსა შინა. და შემ-
დგომად ოცისა დღისა განმზადნეს მონასტერი ხელით
ქმნულისა ხატისა მდგომარე ციხეხა მას, რომელსაცა
შინა მოსახლეობენ თავადნი ყორჩიბაშინნი, ვინაიღ-
ვან მუნით უმარჯვეს, იყო წასვენებად მცხეთად და
დიდისა დიდებითა მიასვენეს მუნ, უკუ იღვეს მცხე-
დარსა მისსა სახელეულებანი მეფეთა და ყოველნი
წარჩინებულნი, გლოვითა დიდითა. და მახლობელ
მონასტრისა მის, პირველვე მოშაადებულსა კათედ-
რასა ზედა დაასვენეს გვამი იგი. და იტირეს მუნ
კმითა მოთქმითა და ზარისა თქმითა.

თუმცალა მრავალთა იტირეს გვამი მეფისა შე-
საბამად, გარნა ორნი მათ შორის აღემატნეს სხვათა:
ერთი მდივანი მეფისა სოლომონ მსაჯული, რომე-
ლიცა იყო კაცი განსწავლული და პატიოსანი და
მეორე ქვრივი იგი ქიზიყელი.

ხოლო შეიღეს გვამი მეფისა ეკლესიასა შინა
და დაასვენეს მუნ ოცდღე, ვიდრემდის განამზადებ-
დეს ყველა საქიროებასა დაფლვისასა. და წარიღეს
მუნით და დაფლეს დიდითა დიდებითა სასაფლაოსა
მეფისა, რომელიცა არს უპირველესი კათოლიკე
ეკლესია სრულიად ივერიისა მცხეთა, სადაცა არს
კათედრაცა კათოლიკოსთა სრულიად მწყემსთა სა-
ქართველოსათა და დაფლეს მუნ, მარჯვნივ კერძო
შინაგან დიდისა მის ეკლესიისა, ქვემოთ პირისპირ
ხატისა მაცხოვრისა მეუფისა ქრისტე მხსნელისა
ჩვენისა...

ვლოვა ირავლი მკორისა

(სოლომონ მსაჯულის ლეონიძისაგან)

დღეს ქვეყანა აღსრული გულის წყრომისა ტახტსა ზედა იცხებს ყოვლად უფასოსა სისხლსა, სახსარსა ივერიელთა გვარისასა, დღეს ციურთა საკვირველებსა მოშურნე ექმნა ქვეყნის საკვირველს, ცამან შისტაცა ქვეყანას სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართა-მთავარი და თვით-მპყრობელთა სახელმწიფო ზრდილობა. დიდნო იმპერატორნო! სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უაღელსტესსა თქვენსა, შერაცხდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა, ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი. მოკვდა ღერკულესი, უძლეველი მეფე—ერეკლე და მზისა ქვეშ იხელეთ, რამეთუ ყოველი ამაოა.

და თქვენ მტირალნო, ნათესავნო ქართლოსიანნო, სარკინზოთაგანო უძლეველნო მხედარნო, გოდოლათ მეფე მოსებრ ისრაელთა, გესმოდათ ხმა პატრონისა თქვენისა, მახარობელად თქვენდამი იყო ბიბლია: «არა მოაკლდესო მთავარი იუდასაგან». იუდას ლომი სახლსა სადავითოსა მტერთა თქვენთა მყვირალი დღემდე დაშქვრიდა სამთა იმპერიათა: ოსმალთა, სპარსთა და კავკასიისა ერთა. დღეს გაილაშქრა ციური ურიცხვთა ზედა ერთმან მარტომან უძლეველმან რაინდმან ძველი ღერკულეს ძველის ახილესითურთ. იყვნენ ძლიერნი ქვეყნისანი, მოკვდა ესე უკვდავი მეფე, პატრონი თქვენი ციურთა ძალთა უკვდავითა ძალითა სძლევედა და განავლო სამყარონი ცათანი; თუმცა დააკლდით საზოგადოსა მამასა და სახსოვარსა მეფესა და პატრონსა, გარნა კმა იყო ესე დიდებულ თქვენდა, ვიდრემდის იგი იყო და საიქავოდ აქ აღიდა სახელი.

ადიდა გვარი თვისი, ადიდა სიზხნე თქვენ ქართველთა ცათამდე და აწ აღვიდა ანგელოსთა ღვთისათა. გარნა აქაცა და მუნ ცხოველ არს იგი. რათ სტირით, ძენო ობოლნო მამისაგან.

და შენ შესაკრებელი სასო ქართველთა ნათესავთაო, ტაძარო ათ-თორმეტისა სკიპტრისაო, რად სტირი სადავითოვ სახლო, დიდს მეფის აღექსანდრესაგან დიდებულთა სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამაღლებულთა სახლო, წმიდის ქეთევან დედოფლისა სისხლით ცხებულთა სახლო, სადაც კმა იყო სიხარული და ცხოვრება. და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ მეფის ერეკლეს შობაზედ იხა-

რებდნენ, რომლისაც საწოლში მეფის ერეკლეს საღლესასწაულო შობა იდიდებოდა.

დაბნელები მზევე, რომელსაც გაქვს მოსწავებულისა დაბნელებით ქირისუფლება, რომ მზე მიწიერი ლამიანის ქართლისა მეფე ერეკლე შენს ბრწყინვალეებას ველარა ჰხედავს. ზეციერნო ძალნო, აქამდის თქვენი დღესასწაულობით მასპინძელი, ახლა თქვენის საღმრთო სტუმარი მეფე ერეკლე გესტუმრათ, თუმცა სამეფოს დიდებით ველარ ნახავთ, საფლავს ტუსალი გვევდრებათ, მაგრამ თქვენ როგორც ქეთევან დედოფლის სისხლი ისე—შეიწყნარეთ, ისე ისტუმრეთ, როგორც დიდს კონსტანტინეს ისე მოგვებნით.

მალალო და ძლიერო ღმერთო, დაეაკლდით ერნი ქრისტიანნი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა ძლიერსა და მხნესა მამა-კაცსა. ჩვესტირით და მეფე ერეკლე, თავი განმგებელი ერის ხელი მზრდელი ობოლთა, მკლავი მომგვრებელ მტერთა და შრომის მოყვარე გვაში მისი საფლავი ირღვევა: შენ გვევდრებით, იესო, სისხლით ცხებულ მეფის ერეკლეს, კაცთ მოყვარეს სულს ნუ შეაწუხებ. იმისგან დაობლებულს საქართველოს მოხედ-

რად გაათამამე გული ლომებთა მემკვიდრეთ თუ კი სიმყარე უძლეველი მოემულებოდი, რად გვაწავლე ზრდილობა მხედრობისა ვაჟკაცობითური, თუ კი შენს წინ სისხლს არ დაგვაქციევენბდი.

მე უღირსი შენგან მოწყალებით გაზდილ შენის კარგის ბატონ-ყმობის ტრფილი სოლომონ აქამდის რად მაცოცხლე, თუ ასე ოხრად დამადგებდ ხელმწიფევე, სად დაგიკარგავს ხელმწიფეთაგ საშურველი ზრდილობა. ამ ღუმილით პატივ-საც მელს სასახლეში რა ამბავია. უჩვეველის ხმის შეღლება, რას ნიშნავს ამისთანა უბედური საღაღდმოხედვე ხელმწიფურად შენს მეჯლისში მინახ დარბაისელთა სახელოვანს სარდლებსა, ხელმწიფე ვიცი, რომ საქართველოს ხალხი მეფის ერეკლეს ტახტზე აღსვლით გულ ამაყნი არიან.

ქვეყანას უკვირდა, სოლომონის გული მწურებამ ვერ შესცვალაო, და არ დაიჩაგრაო. ჩ სიამაყე პირველად სიმართლე იყო და მეორედ ფის ერეკლეს სიმართლე, მეფეს ერეკლეს ცოცხლ უყურებდი, მტერი და განსაცდელი სათამაშოდ მაჩნდა. ახლა იმისის მტრის გული დაიჩაგროს, როგორც მეფის ერეკლეს სიკვდილით სოლომონის ღლი დაიჩაგრა, ამისი ტკბილი ბატონ-ყმობა ვიტრ თუ თავის უნებურად ჩემის შეწუხების შენა-

რომელიც თავისიგ უმაღლესის ხელით მოაწერა და სოფელმა აღარ დააცალა.

ხელმწიფევე დედოფალი და მეფის ძენა, ვაფიცებთ მეფის ერეკლეს დღეგრძელობასა, სიმრთელესა, გამარჯვებასა ორში ერთი მოწყალება მოიღვეით: ან მომკალით და მეფის ერეკლეს უმაღლესის ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზედ იდგეს; მეფის ერეკლეს ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვევოდეს. ჩემთვის ეს ის დღე იქნება, რომ დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი სახსოვარს მეფეს ნიადაგ მარტოკა ვახლდი ხოლმე; იქ ბატონ-ყმობა სადღა იყო, იქ ბატონ-ყმობის სიკეთე როგორღა დარჩებოდა, უღრმესად იფიქრეთ, უმაღლესნო და ისე შემობრალეთ; ან ამ ქვეყნიდამ დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ერეკლეს სამხედრო რაინდობაზე თვალი დამჩრამია, სადაც იმისის გამარჯვებულის დროშისათვის მიმსახურნია, თუ სადმე იმის წინ სისხლი დამიქცევია, სადაც მეფის ერეკლეს ბედნიერი სალამი შემეყარება და იმის სახსოვარს მეჯლისში ჩემთვის უღირსის ხელმწიფურის აღერსით ჩემგან ხუმრობა ჰყვარება და თუ სადმე სახელმწიფოს მასლაათით მიმსახურნია,—ის ადგილები აღარა ვნახო, ამ ცეცხლებით აღარ დავიწვა; ხელმწიფევე მფლობელო, საზოგადოვ მაშავ, მეფევე ერეკლე, ვის მივსცე შენის უმაღლესის ტანისა უზომო ტრფიალებმა, ვის დროშას ვემსახურო, ვინ შევიყვარო, ვისთვის მოვკვდე, ვისთვის ვიცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საძრახავად დამამწარებელმან.

მეფე ერეკლე.

დასურათებული ჩვენის პოეტებისა და სხვათა მიერ.

I

აჰა, ივერის ნუგეშ დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა-კახი, მეფე ირაკლი!..
წარბ-შექმუხენილი, ხმალ ხელმოწვედნით
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!..
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!
დღენი ამისნი ემსგავსნეს
ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს,

მაგრამ ვეღარ ვმზერთ მის სახეს!

მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მისთან მარხია სამარეს!

თ. გრ. ორბელიანი.

II

ჩვენს მიწა-მამულს,
მტრისგან წამებულს,
ღამ მოუვლინა მეფე ირაკლი!
მამულისთვის ძრწის,
დღე და ღამ იბრძვის,
იცის, რაცა სძევს მამულის ვალი.
ებრძვის ქრისტეს მტერს,
წინ უდგას თვის ერს,
ოთხ-კუთხივ აწვდის მკვირცხლ-მაგარ
უსჯულო მტერი, [მკლავსა,
მძლავრი ძლიერი
ვერ დაიმონებს ირაკლის ხმალსა!
ებრძვის დაღისტანს,
ებრძვის აზათ-ხანს,
ზედ ეფრატზედა დგას და გზას უქერს,
ოსმალებს მარჯენივ,
სპარსელებს მარცხნივ...
აღტაცებით მას ევროპა უმზერს!
მაგრამ გაჭირდა,
ივერსა სცდიდა
ისტორიული თვის ეტლი ძნელი...
ნუ თუ დაინთქას
და არ დაიხსნას
ეგოდენ სხვერპლმა ივერი ძველი?
ნუ თუ მთა-ბართა
მაგიერ ზართა
ისმინონ მალღით ხმა აზანისა
და გაწყდეს ხმოზა
საღმრთო გალობა
საქართველოში ქრისტეს ტაძრისა?..
და დიდსა გზაზედ
სტეფან-წმიდაზედ
თურქთ, სპარსთ, ლეკთ ეპყრათ გა-
და მის სიმაღლით [დასავალი
ხელითა მძლავრით
ქრისტიანობას უღერონ ხმალი?
და გასწყდეს ძველი
ივერთ სახელი

წმიდა ტაძარნი მიწას დაეცნენ,
 შეგინებულნი
 და დარღვეულნი
 ერთა უწმიდურთ და ველურთ დარ-
 ნიანდგობით სისხლის [ჩნენ?
 მთა-ბარი ირწყვის
 მამულიშვილნი იხოცებიან!
 მტერი აწვება
 ერი მცირდება,
 მაგრამ მის შთენნი მიანც იბრძვიან.
 იბრძვიან მთაში,
 იბრძვიან ბარში,
 წმიდა ტაძრის წინ და კარის წინა...
 „მანო რჯულისთვის
 და მამულისთვის!“ —
 ეს არს ძახილი ომში და შინა.
 მძლავრდება მტერი,
 მცირდება ერი,
 ირაკლის გული უწყალოდ კენესის.
 ჰხედავს მამულსა,
 სისხლით მორწყულსა, —
 თვის ბედსა, ეტლსა, თვის შობას
 სიმხნე გაცრუვდა. [სწყველის,
 სისხლი გაცუვდა,
 თვის ქალაქის წინ იბრძვის ირაკლი...
 გმირნი სწყდებიან,
 ვერას ჰშეგლიან,
 ქალაქს ავარდა ოთხ-კუთხივ ალი?
 ირაკლიმ წახა,
 გულს დაისახა:
 მანამ ქვეყნად არს, არის ცოცხალი,
 არ მისცემს მტერსა
 მონად თვის ერსა,
 არ ჩაეგება ქარქაშს მის ხმალი.
 როცა მოკვდება,
 ვილა დარჩება?
 ირაკლის ხმალი ვინ ატრიალოს?
 სახლში არეინ ჰყავს,
 ის ნათლად ჰხედავს —
 უნდა ერის წინ მან აღიაროს.
 და აღიარა:
 „არეინ მყავს, არა!“
 და ჩრდილოეთით აჩვენა თითით,
 ბრძანა: „ვიბრძოლებ,
 მანამ ვიკოცხლებ;
 აღარვიქნები, — მას ერს შეერთდით.“
 დრო-კი სძალავდა,
 აღარ დასცალდა...

აწ გმირი მხოლოდ ორ ადღს მიწას
 მაგრამ კი მისგან, [ჰფლობს!
 მის გმირისაგან
 დღეს ჩვენზედ ქრისტეს ნათელი
 გადაგვარჩინა... [ჰმნათობს.
 რას იტყვის ენა?
 ჰკითხეთ შვენიერს ალაზნის ველსა,
 არეხის კიდეთ,
 ეგფრატსა ჰკითხეთ
 ლ ქართლში გორის ციხეს მალაღსა,
 ასპინძის მტკვარზედ,
 ღრე-კლდეთ არაგვზედ,
 ჰკითხეთ სომხეთში ერევანს, განჯას,
 მის მთა და ბართა,
 წმიდა ტაძართა
 და ეგფრატზედა საეაქო დიდს გზას;
 სამშობლოს კუთხეთ
 ყოვლის მხრით ჰკითხეთ
 და გადაავლეთ მის კვლთა თვალი...
 მათ გულს მოგითხრონ,
 მათ გულს გამხილონ,
 ირაკლიმ მამულს რაც დასდო ვალი.
 მასვე გვეტყვიან,
 გვეუბნებიან
 წმიდა საფლავნი მამა-პაპათა
 სამშობლოსათვის
 და სჯულისათვის
 მის გვერდით ხელში ხმალთ მომკე-
 აწ მის დიდს ღვაწლსა, [დართა,
 უზომო კვალსა
 სამშობლოსაგან რა უდგას ძველი?..
 მის წმინდა გვამზედ.
 წმიდა საფლავზედ
 ოცი აგური და ფარჩა ძველი.

თ. ვ. ორბელიანი

III

„მოდისო მტერი კახელნიო!“ კა-
 ხეთს ოთხ-კუთხივ ასმენენ!..
 მტერო, რა გინდა, რას გვერჩი, ჩვენი
 წახდენა რადა გსურს?
 ნუ თუ ალაზნის შვენება, მის წალ-
 კოტები ჩვენთვის გსურს!?
 მაგრამ კახეთი, ვით დედა, კახისთვის
 საყვარელია,

იმისი მძლავრი მარჯვენა მის ტურფა
 ველის მცველია.
 არა! არ სძინავს კახეთსა, შექურვი-
 ლია, მზად არის,
 ჩასაფრებული მტრის გზებზედ მაგ-
 რად, მამაცად მტერს ელის!
 მაგრამ ვინ არის
 მბრძანები ჯარის?
 გულით და სულით ჯარი ვის უმ-
 ვინ არის, ვინა, [ზერს,
 სდგას ჯარის წინა,
 დიდის ბრძოლის წინ გული არ უძგერს?
 მხოლოდ ბრწყინავით
 თვის მკვირცხლის თვალით
 განსვენებული ელოდინება
 მომრგვინავს მტერსა
 და მშვენიერსა
 თვის რაშის კისერს ეალერსება!
 ტანი დაბალი,
 შუბლი მაღალი,
 თვალი გამჭვრეტი ვით არწივისა,
 მოშაო ფერით,
 ქალარა წვერით,
 მოსული მკერდი, ბეჭი გმირისა!
 მოარღვევს მტერი,
 ცას აღის მტვერი,
 ისმის აზანი, ისმის ნალარა!
 ვინ დგას მტრის წინა,
 თითქოა შინა?
 ნუ თუ ის არის კახი პატარა?
 ზის გმირი რაშზედ
 ამპარტავანზედ,
 „შისივანი“ მას ეწოდება!
 რაში ქკვიანი,
 გონებიანი,
 არაბისტანის მშვენიერება.
 შეიქმნა ბრძოლა,
 ყიყინა, სროლა,
 ომის საზარი ხმა ცამდის უწევს..
 ომია ძნელი,
 ფიცხელი, გრძელი..
 ლეკი კახსა, თუ კახი ლეკს დასძლევს?
 მაგრამ ვინ მოჰქრის,
 ვით ვეფხვია მოხტის,
 რისხვით, ვით ვეფხვი, კლდე-ღრეს
 მრისხანე ხმითა, [მონაგრევს?

შიშველის ხმლითა
 პატარა-კახსა საბრძოლოდ იწვევს?...
 არ ვეფხვი ტყითა,
 ლომი ველითა, —
 არა!.. ეძგერა კაცი კაცსა — მტერს..
 ვეფხვი ერთის მხრით,
 ლომი მეორით!..
 საღ არის მუზა, რომ გულს არ შთა-
 ლექსსა მგრგვინავსა, [მბერს
 ლექსსა მდიდარსა,
 რომ, ვით ის ბრძოლა, ისე გრგვინა-
 რომ კახსა გული, [ვლეს, —
 ქველობით სრული,
 იმის კითხვაზე თრთოლით უძგერდეს!
 ორი კამარა
 რაშმა იკმარა,
 „შისივანი უძგერა კოხტას..
 ირაკლის მკრეღმა
 იელვა ხმაღმა,
 კოხტა ბელადი გაერთხო მიწას!
 კახელთ იგრგვინეს,
 ხმაღნი იშიშვლეს,
 როგორც არწივი მიჰფრინდენ მტე-
 რადიძრა მტერი, [რსა,
 მას ასდის მტვერი,
 მირბის, მიარღვევს მთას, ტყეს ღ ღრესა.
 კახეთი ჰბრწყინავს მზის სხივით,
 ალაზნის ზვირთი გრიალებს,
 ირაკლის სული ზეციდგან
 მათ უმზერს, მათზე ტრიალებს!..
 თ. ვახტანგ ორბელიანი.

გას
 ას
 უ
 მს
 პ

IV

„მწყემსო კეთილო შენ წმიდა სამწყსოს
 შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
 გულთა მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
 საქართველოსა ქირნი მოადგეს!..
 მრავალ არიან, უფალო, მტერნი..
 და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი..
 გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრო-
 ბელო,
 და აღადგინე დღეს საქართველო!..“
 ასე ილოცდა მეფე ირაკლი
 ბანაკსა თვისსა, გულით მხურვალი...
 ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
 მამულისათვის მეფისა ცრემლი!

ბატონს თვს ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთან საომრად;

პატარა კახი ალა-მაჰმად-ხანს
უპირებს შებმას, ძლიერს, რისხვიანს.
ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი...

ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
ზედ ანათლიდა ბრძოლისა ველსა
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა მამობრივის მხრით:
„ახედავთ, ვითარის კანდიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!..
საქართველოს დღეს გადაუწყვდება
თავისი ბედი და უბედობა!..

დღეს ექირვება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი...

დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო უყვარს, ძმანო, მამული“.

„შენი გამჟენის ქირიმე, შენი,
რომ ვაგვავონე კვლავ ხმა სალხენი!“
შეჰბლაღლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით:
„ჩვენ თუნდა ერთს დღეს დავიხოცებით,
ოლონდ შენ იყავ, მეფევე, დღე-გრძელი!
მტერი, რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს!..
მისთვის სიკაცხლეს ვინლა დაჰზოგავს!
ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით მამას შეილნი,
განუცხადებენ თავის სიყვარულს!..

V

მზე დამავალი მოჰვენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს
და ამ მშვენიერს არავის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გადმოჰყურებს.
მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი
მოწყენის თვალთ გადმოშობიარალი,
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალთა;
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიქთა კეთილთა უხვად მორქმული,
ვას არა ვახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინა ყმა, ყმად საყვარელი!
სადლა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი!..
დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარედ
არავის წყალთა, მდენთა მჩქეთარედ!..

თ. ნ. ბარათაშვილი.

VI

„თავი გამგებელი ერისა იყო, ყოველთათვის
საზოგადო მამა, მხნე მამა, ქვეყნის სიმდიდრე, ძლი-
ერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი,
მხედართ-მთავარი, სახელმწიფოს ზრდილობის საუნ-
ჯე, ობოლთა მზრდელი, მტერთა მომგებელი მკლავი,
შრომის მოყვარე გვაში, სიამაყე და დიდება ქართ-
ველთა, თავ-ზარ დამცემი სპარსთა, ოსმალთა და
კავკასიის ერთა, კაცი, რომლის ხელმწიფური ქვევა
ყოველს ქართულს ოჯახში შეიქმნა სადიდებელი;
რომლის სადღეგრძელოდ ყოველს ოჯახში მრავალ-
ქამიერი ისმოდა სადღეგრძელო საგალობელი, რომ-
ლის ტახტზე ჯდომით საქართველო ყველა წინა
საუკუნებზედ უფრო იდიდა, უფრო ამაღლდა, უფრო
გაბედნიერდა“

ხოლომონ ლეონიძე.

VII

„ერეკლე შუა ტანისაა, ცხარე ხასიათისა. თვა-
ლის გამომეტყველება აქვს მკვირცხლი, არწივისე-
ბური ყოველ მოსაუბრეს შუბლ-შეკრული, შეკმუხ-
ვნილი აქერდება, ეს ალბად იმიტომ, რომ გამოი-
ცნოს მოსაუბრის გულის ნადები. იგი თუმცა 62
წლისაა, მაგრამ მოხუცებულობისა გამო ცოტა ტანში
წაბრილა. ერეკლე ერთი იმ კაცთაგანია, რომელთაც
ყველაზედ მომეტებულად შეუძლიანთ ისეთი პასუხი
მისცენ კაცს, რომ ერთსა და იმავე დროს ჰოც
გამოდოდეს და არაც. დიდის ქკუის პატრონი არის.
სამაგალითო მოთმინება იცის, სამაგალითო სიმხნევე
აქვს. მთელი ღამე ჰუხიზლობს და მარტოდ წარმარ-
თავს თავისს სამეფო საქმეებს. სძინავს ცოტა, აზიის
პოლიტიკაში ფრიად გამოცდილია; ელტვის, რომ
თვისი ხალხი ევროპიულ წესზედ მოაწყოს, გაანათ-
ლოს. ღვთის-მოსავია ისე, რომ ყოველ დღე ღვთის-
მსახურებას ისმენს. თავისს სასაქმო და სამუშაო
ოთახში ორ-ორი საათი ლოცულობს ხოლმე. როცა
ლოცვაზედ სდგას, მის ყურადღებას ვერავითარი
შემთხვევა ვეღარ მიიზიდავს და მიიპყრობს“.

პოტემკინი.



Handwritten signature or text at the bottom right of the page.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მშენიარება ჭრისტიანობის სარ-
ფუხრობასა და კეთილ ზნეობაზე.

ოჯახობა-მამაკაცი და დედაკაცი.

ჭაბუკი ოჯახში.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ჭაბუკი რამდენიმე წლის შემდეგ დროებით ისე იმ სახლს უბრუნდება, სადაც სიყმაწვილე გაუტარებია. ის ბავშობიდანვე სკოლაში ებარა და შინ მხოლოდ დღესასწაულებზე იყო. მაგრამ, როდესაც სწავლას ათავებს, საშახურის დაწყებამდე ისე ძველ გერას უბრუნდება, მამასთან ერთად ეწევა შრომის უღელს, ან დასხვა რასმეს მეცადინეობს. სწორედ ეს წინანდელი ცხოვრების გაახლება ახალ ქერქში შეიქმნება ან მეტის მეტი საამური როგორც მისთვის, ისე მთელი სახლობისათვის, ან და აუტანელი და ბოღმიანი როგორც ერთისა ისე მეორესათვისაც. საამური იქნება მაშინ, როდესაც ახალგაზდა სხვის პიროვნებასაც პატივს სცემს, თვის ვნებათა იმორჩილებს და ამასთან შემოაქვს ოჯახში არა მარტო ფიზიკური ძალღონე, სიმრთეღე, არამედ ყველა ის სიკეთე, რომელსაც სწავლობდა მშობლებთან, მასწავლებლებთან და ამხანაგებთან. აუტანელი და ბოღმიანი მაშინ, თუ მას არ შეუთვისებია ის პაზრი, რომ ადამიანის სიკვდილსიციოცხლე მასზედ არ არის დამოკიდებული; ცხოვრება მედიდური, თავის თავის პატივისცემაში გატარებული შეფერება მხოლოდ მხეცს, და არა ადამიანს, რომელსაც ღვთის მსგავსება და დალი „გამოხსნისა“ სახეზედ აკერია.

ჭაბუკის ყოფაქცევას ოჯახში შეუძლია გამოიჩინოს ყველაფერი ის, რაც ამკობს ადამიანის ღირსებას: თანაგრძნობა, სიყვარული, ყურადღება და სიმხნე, ან და, მეორეს მხრით, გულის მომწამვლელი ნიშნები პირუტყული ალღოსა, საზიზღარი უპატივცემულობისა. დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრების მაგალითები უფრო ნათლად დაგვისურათ-ხატებენ იმას, რის თქმაც მწაიან.

მაგრამ პირველად მინდა ორიოდ სიტყვა წინადაუდო თითონ მშობლებსაც. ამით მარად ჟამუნდა ვაგონებდეთ, რათა არა განარისხებდენ და დასტანჯვიდენ შვილთა თვისთა. იქნება ეს მცნება დღიური მოვლენაა, მაგრამ მაინც აღინიშნა სამოციქულოს წმიდა ფურცლებზე. სიტყვები: «მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა»-ო, ამას გვასწავებს: თქვენ, მამანო, ნუ მისცემთ მიზეზს შვილთა თქვენთა განარისხებისას, გაჯავრებისას. მშობ-

11 ამა იანვარს ასი წელიწადი შესრულდა დღიდან მეფის ირაკლის გარდაცვალებიდან. თფილისში ჯეროვანად მოიხსენეს ეს სახელოვანი მეფე. ამ დღეს ერეკლეს სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარში შესრულებულ იქნა წირვა და პანაშვიდი. წირვაზე შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა არხიმანდრიტმა ლეონიდემ. ეს სიტყვა იქნება დაბეჭდილი შემდეგ ნომერში. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ქუთაისში და არც ქუთაისის გარეშე არაფითარიმე ღარღილი არ ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ «მუნ გვეშინინ შიშისა, სადა იგი არა არს»; იმას რაცხვენ სახელმწიფოსის საშიშოდ, რაც სახელმწიფოსათვის სასარგებლოა!..

* *

14 იანვარს, ნინოაბას, ქუთაისის ქალების გიმნაზიაში წირვა შეასრულა ყოველად სამღვდლო ზესარიონმა სემინარიის რექტორის მამა არხიმანდრიტის ბენიამენის და კათედრის ტაძრის კრებულის თანამწირველობით. ამავე დღეს ქუთაისის ყველა სასულიერო სასწავლებელში იდღესასწაულეს და წირვა შეასრულეს, მაგრამ საერო სასწავლებლებში სრულებით არა ვითარი მოხსენება არ ყოფილა. ამ დღეს დეკ. დ. ღამბაშიძემ ქალების გიმნაზიას და სასულიერო სასწავლებელს ხუთასიოდ პატარა წიგნაკები გადასცა უფასოდ მოსწავლეთა შორის დასარიგებლად. ამ წიგნაკებში მოთხრობილია ღვაწლი და ცხოვრება წმიდა მოციქულთა სწორის ქართველთ განმანათლებელის ნინოსი. ქალების გიმნაზიაში ამ დღეს ნაწირვებს იყო ღატკარატყურუღა დაღა, რომელზედაც სიტყვას ვტოვებთ შემდეგ ნომრისათვის.

საყურადღებო ავთოგოფიათის: აზ

ქარბით (თითქმის ძვლების სიმსიენით), კუჭის ავთ-მეოფობით და საწვებებს ანთებებით, ბუასაღათ, სულის შეხუთვით, სასხლას ნაკლებობათ და ყოველ გვარი გაცივებით სნეულთათვის. ყველა ამ გვარ სნეულთათვის მოწონებულია და ურჩევნ შესანიშნავ კუჭშიჩევის ბალახს“.

ნამღვლილი ბალახი არის მანისისა ყვავილით, და ძირით უკეთესი სუნიანი. არის მიღებული და ისყიდება კოკოროვის აფთექის მალაზის საწყობში ქუთაისში.

ლებიც უნდა პატივს სცემდნ თვისთა შვილთა, ვითარცა შვილნი მშობელთა.

სიწმიდე კაცობრობისა და ცუღლია თითოეული ადამიანის არსებაში, რომელსაც მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი, თავისებური განვითარების გზა. ჩვენი შვილები სრულიად არ არიან მკრთალი, გინდ ბრწყინვალე აზრდელი ჩვენი პიროვნებისა, და არც შეუძლიათ იყვენ. იმათ საკუთარ ნებებლობა და სურვილები აქვთ. იმათ ახალი, მათი შესაფერი სულიერი თვისება აქვთ; თითოეულის მათგანის სული და გული კუნძულია, გარემოცული ზღვით, რომელშიაც შეტრავა საძენლოა. ჩვენ უნდა მივხედეთ მათ განსხვავებულ თვისება-მიდრეკილებათა და არ უნდა დავასახიროთ მათი ნორჩი, მოზარდი ბროლი (кристалл) უმგვანო სახედ, რომელიც მხოლოდ გააფუჭებს და გასტეხს მას. სიყვარული და მორჩილება ბუნებრივი ხარკია შვილთაგან მშობლებისადმი, რომლებმაც პირნათლად აასრულეს თვისი ვალი, მაგრამ ხასიათი და სამზღვარი პატივისცემისა წლიურად ეცვლებათ. მშობლებს ხშირად აჩნდებათ ხოლმე ასაკში შესრულ შვილთა უმგვანოდ დამონავეების წადილი, და უმართებულო მოთხოვნისებანი მათგან.

განსაკუთრებით ახალგაზდათა შესახებ არ უნდა ვივიწყებდეთ გამწვავებულ ცხოვრების სუსხს. ჩვენ მომთმენი და ყადრიანი უნდა ვიყვეთ მათი დანაშაულობათა და მიდრეკილებათა შესახებ, რომლებიც ერთნაირი ნაკლია, როგორც სიკბატუკისა, ისე სიყმაწვილისაც. „ახალგაზდანიო, ამბობს ლორდი ბეკონი, „თავიანთ მოქმედების დროს იმას ეტანებიან, რის ატანაც ძალუძთ. აღტაცებულნი არიან და არა დაგონიერებულნი; მისწრაფვიან წინ, მაგრამ არ უკვირდებიან საშვალეებთა და თანდათანობას. თავგამორღებით ესარჩლებიან მოარულ ჰაზრებთ; ერთბაშათ მიმართვენ უკიდურეს ღონისძიებათ და უფრო მეტად იმაში ცდებიან, რომ არ უნდათ იცნონ თავიანთი შეცდომა, და მათი გასწორების საჭიროება.

ჩვენ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ მოზარდთაობაზე კეთილშობილური ზედგავლენა მოვიპოვოთ და არა გამხრწნელი. სავალდებულოდ არ უნდა უდებდეთ ჩვენ რჩევას, მაგრამ უნდა ვაგრძნობინოთ კი სიმართლე და ქემარტება იმ გაფრთხილებისა, რომელიც გამოხატულია ეკლესიასტეს წიგნში: „იხარებდე, კბატუკო, დღეთა შინა სიკბატუკისა შენისასა, რე იხილოს გულმან შენმან სიხარული დღეთა შინა სიკბატუკისა შენისასა, და ხვილოდე გულისთქმათაებრ შენთასა, და რჩევისამებრ მხედველობისა შენისასა. მაგრამ „გახსოვდეს“. ეს უკანასკნელი გაფრთხილება წარმოთქმულია წარფელი გულით ერთგულებისა გამო, ვინემ ცვიე შრისხანებით. „გახსოვდეს“, რომ ყოველ ამავებისათვის თანამდებ ხარ პასუხის გებად წინაშე საშინელისა სამსჯავროისაო“.

აი მაგალითიც ორიოდ ახალგაზდებისა, რომლებსაც ოჯახში უცხოვრიათ—მართალთა და მრულთა, მორჩილთა და ურჩთა, ბედნიერთა და უბედურთა, ბრძენთა და უგუნურთა.

1. მე ვიცნობდი ერთ ოჯახში სამ ძმას. ერთი ექიმად ემზადებოდა, მეორე „ჩინოვნიკად“ და მესამე მღვდლად. მათი ოჯახის კერა კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ მდაბიურად კი განუწყვეტელი მეცადინეობა იშვიათად ატოვებინებდა მათ თავიანთ ოთახს. მათი სურვილის წინააღმდეგ და ცოტა დროს უნარჩუნებდათ საზოგადოებაში უფლებელ გართობისათვის. მაგრამ თითოეულმა ამ ძმებთაგანმა, როდესაც სწავლა დაასრულა, უარჰყო პირადი კმაყოფილება, მხიარული ცხოვრება და გულდადებით ამოუდგა მხარში ოჯახის ავანჩავანს. ერთგულად შრომობდნ თავიანთ ოთახებში, მხიარულიც იყვენ, ბედნიერნიც და კმაყოფილნიც. პირნათლად ემზადებოდნ ცხოვრებასთან და თვით არსებობისათვის საბრძოლველად არ აწუხებდნ თავიანთ მშობლებს უგუნური თხოვნით, უთავბოლოობით, ამაო მხიარულებით, გულჩახურულობით, ან თავიანთი მიზნის დაფარვით, ან მიდრეკილებისა, ან ვისმესთან მეგობრობისა—ერთის სიტყვით, არაფრით, რასაც კი შეუძლია კაცი გააჯავროს, ეკვი აალებინოს უმიზეზოდ. ხასიათის ამ გვარი მიმართულებით გამოვიდნ დამოუკიდებელ ცხოვრებაში და კიდევაც დაუტოვეს კეთილი სსოვნა და იმედები. დასტოვეს კერა, რათა გამხდარიყვენ სასარგებლო წევრები ეკლესიისა და საზოგადო მიდრეკილებისა რე შემდეგ, რასაკვირველია, მონაწილენი აღდგომის უკვდავი დიდებისა.

2. ვიცნობდი კიდევ ერთ ოჯახში ერთ ახალგაზდას - დიდს, შესანიშნავს, რომლის სახელი კარგად არ მაგონდება. ის უნიჭიერესი კაცი იყო, მემკვიდრე მშობლებისა, რომლებსაც დიდი ნიჭი არ შესწევდათ, და რომელიც ბევრად აღემატა მშობლებს განათლებითა და კულტურითა. ამგვარ გარემოებაში ზოგი ახალგაზდა განიცდებდა მედიდურებით, სიამაყით; ვერც გულს დაიმორჩილებდა ჩამომდგარიყო სიამაყის მწვერვალიდან და თავის მშობლებისათვის მეგობრობა გაეწია; ან აათრთოლებდა მშობლების უვიცობა, დაესირცხვებოდა, რომ ის გლების ან მოქალაქის შვილია, რაც დასაზარახიაო. მაგრამ სულ სხვა იყო ის კბატუკი, რომელსაც მე გისახელებო. ცხოვრების კანონად აქნდა დადებილი მიბაძვა გამოჩენილ იდეალთა იდეალისა, მიბაძვა იმის, ვინც ნაზარეთში მიჰყვა მშობლებს და მუდამ ემორჩილებოდა მათ. მე ხშირად ვმჯდარვარ მასთან და მომიხმენია მისი მქვერმეტყველოური მუსაიფი, მისი ღრმა და კეთილშობილური რჩევა, რომელშიაც ცდილობდა გამოეხატა მისი სულისა გულისა სადა



Handwritten signature

ქრისტე აღდგა!

განთიადისა ვ სკვლავი ჩნდება
და ხალხი გროვად ფეხზედა სდგება;
კელაბტარებით, ლოცვა გალობით
ეკკლესიებში მიეშურება.

დღეს შვების დღეა! დღეს შესწყდა კაცთა
შეცოდებულის ცოდვით ვნებანი,
დღეს მონაფენი ნათლის სხივებით
ჩვენ მოგვენიქა განკურნებანი.

დაიქცა ბქენი ეშმაკურ ხელთა
და მის-მოსავთა ბიწი სადგური,—
სადც იყო ცოდვილთ გულის სავანე,
სითქენც ეჭირათ თვალი და ყური.

დღეს ქრისტე აღდგა! და თვისს სიკვდილით
დასაზრგუნა ყველა ის უკეთური,
და სასვე-ბედოდ ახლის ცხოვრების
მან მოგვიბრწყინა თვისს სანათური,

და ბრძანა: „მამავ, შვილნო და ძმანო,
მნებაეს იცხოვროთ თქვენ მოყვსურათა!
და ეს უკვდავი ნათლის სიტყვები
ახალს აღთქმაში დაგვისურათა.

ღიახ, მას ვხარობთ, ვდღესასწაულობთ,
ლოცვა გალობის არ წყდება ხმანი;
წრფელისა გულით, გრძნობითა სრულით
ანბორს უყოფენ ურთიერთს ძმანი.

ესრედ, მამაო! ილოცეთ ჩვენთვის,
დავიცვათ მარად ეს მოძღვრებანი,
რომ ღირსეულად შევისისხნობოტოთ
მოყვასთ თვისების ჩვენ ვალდებანი.

შურსა, მტერობას, აზრით მტრელობას,
რომ განერინოს კაცთ ღირსებანი,
ზოგს გულ-უგონოს აღარ სჩვეოდესთ
უთვისტომობა, უთვისებანი.

თ — დი როსტომ ჩიქოვანი.

საქართველომს

ძველი დრომს თავგადასავალი,
(საისტორიო მასალა).

გავრძელება *

დიდისა და სანატ.

ჩაილისა მიჰვისა

თამარისა

გარდაცვალება,



რომელიც მდგომი ნაქარ-
მაგვეს დასწულდა; ჰყვეს
კრება მკურნალთა და წა-
რიყვანეს ტფილისს, რათა
ეგებას ჰავის გამოცვლამ
არგოსო, და არც მუნ
იქმნა განკურნებული,
აზამედ წავიდა მეორეთ სოფ-
ლად და მივიდა წინაშე ქრის-
ტისა, რომელიცა მისთანა ხა-
რობს სასუფეველსა და ჩვენ
დაგვიტევა მან ობლად, რომე-
ლიც ესე თამარ იყო მესამე ღირსი
ხსოვნისა, რომელმანცა ეს ორნი
შაირნი თვის საფლავის ქვასა ზედა
დააწერინა, და დამარხეს გვაში მეფი-
სა მის გელათსა შინა, და შაირსა
მათ ქვემოთვე სცნობთ წამკითხველნო

ურჩიეს მეფეს აქიმთა ადგილის ცვლა ღ ჰავისა,
თბილისს წაბრძანდი გერგების თქვენ გამოცვლაო
ჰავისა,

ჰყო ნება მათი, წარვიდა, სყიდვა არ უნდა ნავისა.
მიინც არ აცდათ ქართველთა მაზედა ჩაცმა შავისა.

გარდიცვალა დიდი მეფე, ღირსი ხსოვნის თა-
მარ გმირად,

ტფილისს იქმნა შექირვება არა ღიხინი გარნა ქირად,
შექმნეს გლოვა საშინელი, იცეს თავსა დანა-პირად,
გიორგიელთ ძალი მოსწყდათ, სიციოხლევ უჩნსთ
ქირ არ ღიხინად.

იბ. „მწყემსი“ № 3, 1897 წ.

მოწამის გვირგვინით, რომელმაც მსხვერპლად შესწირა თავის თავი მოვალეობას.

ყველას უნდოდა მუხლი მოედრიკა და თავიანი ეცა გარდაცვალებულის ცხედრისათვის.

შეტად საამური დილა იყო. მოწმედილი, გამსქვირვალე ცა, გაზაფხულის მზე, მისი ბზინვარე სხივები, რომლებიც უფრო და უფრო ათბობდა აპრილის ცივს ჰაერს და ჯერ კიდევ გაუშრობელს ქვეყანას, — ყველა ესენი მოწმობდნენ გაზაფხულის სიახლოვეს, — იმ „ნამდვილი“ გაზაფხულისას, რომლის გამაცოცხლებელი ბუნება წარმოადგენს თვის შორის დიდებულს შესხმას შემოქმედისას.

აგერ მოედვა გუგუნი მიდამოს დიდი ზარის პირველი შემოკვრისა; ჯერ კიდევ არ მიღეულიყო ის, რომ მეორე შემოკვრაც ზედ მოჰყვა...

რკვდენ გამოსვენებისას...

აჩქარდენ შეეტლებიც და ქვეითნიც.

ეკლესიიდანაც გაუდგა მღვდლის სახლისაკენ ლიტანია. როდესაც ლიტანია სახლს მიუახლოვდა, სახლში მაშინვე ლიტიას შეუდგნენ. სამღვდლოება შეიმოსა მის მიერ მოტანილი ბრწყინვალე სამოსლით. ქალაქიდან ჩამოსულმა მოხუცებულმა დეკანოზმა დაიწყო ლიტია მოხუცებულად, მაგრამ მკაფიო და გარკვეული ხმით. ყველანი მხურვალედ ლოცულობდნენ. ლოცულობდა ეზოში თავშეყრილი ხალხიც.

ლიტია შესრულდა. დაქანკული, თვალანთებული მღვდლის ცოლი, რომელიც მთელ დროს დაიჩქილი იყო, მივიდა ცხედართან. რაღაც საშიშარი გამომეტყველება იხატებოდა მის პირის სახეზე. მაგრად მოკუშული ტუჩები, მოქუშული შუბლი, თითქოს რაღაცას ოგონებსო, უტრემლო თვლები, ყველა ესეები საშიშრად ხდიდნენ საწყალი დედაკაცის მდგომარეობასა.

თავი ყველას ჩაკიდული ჰქონდა. ვერავინ ვერ ბედავდა დედაკაცისათვის პირდაპირ შეხედვას. ქალმა რაღაც არა ჩვეულებრივად დაიჩოქა ცხედართან, დაეკონა მიცვალებულის ხელებსა და დიდხანს, სულ დიდხანს ვეღარ მოსწყდა მათ.

მიუახლოვდა მოხუცებული დეკანოზი, ნახათ მოაშორა ცხედარსა და ტკბილი, მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით უთხრა:

— კარგი, გეყოფა, გეყოფა! იკმარე ამდენი წუხილი, შვილო!

მაგრამ თითონ მასაც ცრემლები გადმოსცივდა თვალებიდან.

— რას უყურებთ, აიღეთ ჩქარა! მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა იქ მყოფთ. მაგრამ ეს გარეგანი სიმკაცრე სრულიად არ ეთანხმებოდა მის ატირებულს პირის სახესა და ტირილისაგან აკანკალებულს ხმას.

დიაკვნებმა და მღვდლებმა ასვენეს ტილოებით ცხედარი და ფაცა-ფუციით შეუდგნენ სახლიდან გამოსვენებასა.

სახლის წინ ათიათასამდე კაცი შეგროვილიყო. როცა ცხედარი გარედ გამოასვენეს, აქაც დაიწყეს ლიტია. ამასობაში გააწყვეს და ჩააყენეს ეკლესიისკენ მიყოლებით სამგლოვიარო ლიტანია.

ამ მოკლე გზაში ხშირად იხდიდნენ ლიტიასა, ასე რომ სულ რამდენიმე ათეული საყენის გავლას, რომელიც ეკლესიისა და მღვდლის სახლს შუა იქნებოდა, სრული ნახევარი საათი მოანდომეს.

სამგლოვიარო რეკა ზარისა, გოდება ხალხისა, მწუხარებისაგან გულდაწყვეტილი ნათესავ-ნაცნობნი მიცვალებულისა, სიმრავლე ერისა, — ყველა ესეები ისეთს მგლოვიარე-დიდებულს სურათს წარმოადგენდა, რომ უნებლიეთ მოგადგებოდათ თვალებზე ცრემლი, თითქმის თვით გულცივი, გულქვავი ადამიანებიც კი გრძობდნენ რაღაც სიმძიმეს, რაღაც აუტანელს ბოღმას, მწუხარებას ამ სურათის დანახვაზე.

მხიარული, დიდებული გამომეტყველება ბუნებისა კიდევ უფრო აძლიერებდა სამწუხარო სურათს ლიტანიისას.

დასრულდა თუ არა წირვა, რომელზედაც ქალაქიდან მოსული საკრებულო ტაძრის მგალობელთა გუნდი გალობდა, მაშინვე შეუდგნენ დიდებულად ანდერძის აგებას.



მათცა ჩოქი ქმნეს, გლოვა ჰყვეს რიგრიგად ჩარი-
გებითა.
მოჰყვენენ, იტირის, ზარი თქვეს, მათ ხმანი მრ-
ვლად აღიდეს,
ეცა, მპყრობელო ხელმწიფევი, ბაგე ვით შენი და-
დუმდეს,
შენთა მონათა ხმა გვიყავ, მტერთ ბრძოლა გაგვი-
დვილდეს,
არ გაგვემ ხმასა, იცოდე, მტერნი მყის გარდმოგვ-
ლაზვიდეს.
ვაი რას ვხედავო ჩვენ ამას პირველ ღვინ მრ-
ვლად ჩვეულნი,
წყულმცა იყავ სოფელო, შენით ვიქმნით ძლე-
ულნი,
რად მდუმარე ჰყავ პატრონი, რად გეხადე ძირით
სერეულნი,
აწ ვინლა გვიყოს წყალობა, გული გვიხადე ხეულნი.
ვაი პატრონო, გამზრდელი, მეფეო მეფეთ ზე-
დაო,
ვაი შენ თვალო ჩვენოდა, რას ხედავ ტახტსა ზედაო,
უძრავად მხნესა მეფესა, მძლეველსა მტერსა ზედაო,
შენს უკან ვიქმნათ საწყალნი, ვსტიროდეთ ამას
ზედაო.

ტირლი კახთა მეოთხე და კლოვა.

ათაბაგელნი წარმოდგენენ, აწ გამოვიდნენ კარ-
ზედა,
კახთა შეუდგათ ძრწუნება ამა ზარისა ხმაზედა,
რა არსო გამგებ ჰკითხვიდენ, ან მეფე სად ზის სკამს
ზედა,
კარათ მოვედით ჩვეულნი ჩვენ ბრძოლად მეფის
მტერზედა.
შევიდნენ კახნი მეფის სრას, სად კუბო იყო
დებული,
ოქრო ვერცხლითა შემკული, თვალ-მარგალიტით
ვსებული,
კუბო ოქროსა ტახტს ზედან ზედ იყო დადგინე-
ბული,
როს კახთ იხილეს ჩოქი ქმნეს, შეიქმნენ დარიგე-
ბული,
მოსთქმიდენ, ხმათა ხმოზდიან, მეფეო, მშვენიე-
როდა,
ნთა ყმათადმი დიდებავ და მათო ნებეიროდა,

მხნეო, ძლიერო, მოწყალევი, ბრძენ ჰკუთ, მეცნი-
ეროდა,
რად არ მოგვიგებ პასუსსა, შენ გმირო ზეციეროდა!
სე, თამარ მეფევი, ისმინე, მართლობის ბურჯსა
ასულო,
მხნეო, ობოლთა გამზრდელი, დავით გმირისა ასულო,
არ ისმის შენი ხმა ტკბილი, გმირო ცისკიდეს გა-
სულო,
რად გვილატე ერთგულ—ყმათ დიდებათ ღვთისა
ასულო!
ვაი, დაგვყარნე ერთგულნი შენნი საკუთარ მეფეო,
ვაი, ვერ მხედთა შენთა კახთ მზეო შუქ მოიფეო,
ვაი, ვის მიგვეც მონანი, შენი კახეთი სეფეო,
ვა თუ ვერღავინ შეცასძრას სპარსთა-ოსმალთა მეფეო.
დაგვყარნე ყოვლნი ოხერად, გვყავ უპატრო-
ნოდ ყველანი,
ვათუ შენს უკან მტერთა ჰყონ ჩვენზედა გადმოქე-
ლვანი,
ვისა მივმართოთ ბედშავთა, ანუ ვინ გვიქმნან შვე-
ლანი,
სცნონ თამარ მეფის სიკვილი, ჰყონ შური დიდი
ხველანი.
მოსთქმიდენ საწყლად კახელნი, სტირნ ხმასა
მეტად მწარესა,
აწ თავსა თვისსა სტირიან, სიტყვასა ხმოზენ მკმა-
რესა,
ვა უპატრონოდ დამხდართა, რასა ეჭვრეტთ შესა-
ზარესა,
ვისთან მივიდეთ ჩვეულნი, უკუდგენენ კარსა გარესა.

**ტირლი მეხუთე თამარ მეფისა თუშთა, ფშა-
ვთა, ხევსურთა, არაგველთა, ქსნელთა და ეკ-
რეთვე ერობლივ კავკასიის მთის ხალხთა.**

მოდგენენ თუშ-ფშავნი-ხევსურნი მეფისა სახლსა
ჩვეულნი,
გვიჩვენეთ ჩვენი პატრონი, არ ვართო მასთან ძლე-
ულნი,
შეუძღვენენ, სრასა შევიდნენ, ვით მტერზედ გამარ-
ჯვებულნი
გამგებ მეფის სახლს გარ ერტყნენ ყარაულ ჩვეუ-
ლებულნი.
როს განიცადეს კუბო და ოქროსა ტახტსა
დებული,

გახდა აშბავი ყოველსა საქართველოს მზღვარ-
სადა.
იმერთ მიეცათ გლოვანი, მოსთქმიან ზარის თქმა-
სადა,
მესხთ ათაბაგის საბრძანოს ტირიან გლოვის ხმასადა,
შემოკრბენ ყოველნი ერთობლივ, შავებსა ჰყოფენ
მზასადა.
შემოკრბენ სრულად ტფილისის იმერთ ათაბაგ
ზრდილები
ქართლელ-სერ-კახნი სომხითარ, მათ ადგა მეფის
ჩრდილები,
ლევნი და ოვსნი, ჩერქეზნი და მათი დიდებულები,
თუშ-ფშავ-ხევსურნი არაგვით ქსნით გმირად ჩინე-
ბულები.
იწყეს ყოველთა ტირილი და ცრემლის ღვრანი
მწარეა,
რიგათ შევიდინ სრასა და ზოგნი ტირიან გარეა,
შეიძრა ოთხი კიდენი ქვეყნისა მთა და ბარია,
ვინ დააშვენოს მეფისა სრა გინა სახლთა არეა.

ტირილი ზირგული ქართლელთაგან თამარ ქეფისა.

იწყეს პირველად ტირილი ქართლელთა ენა-
წყლიანთა,
ჩარიგებიზა ჩოქებით თმა წვერით გაცამტვრიანთა,
იწყეს გლოვა და ვაება. ცე, მზეო, შენგნით სვიანთა,
რად დაგვიტევე ობლებად მოცემად ჩვენდა ზიანთა!
ჰოი, მეფეო, მოსთქმიდენ, მეფეთა ზედა სვიანო,
ჰოი, სად დასქენი უებროვ, თამარის ვარდნო იანო,
ჰოი, სად წახდა შენი მზე, მეფეო, დიდო ხმიანო,
ვის დაგვიტევე ყმანიდა ლეთისაგან გვირგვინიანო!
ვიცემდეთ თავსა და პირსა ჩვენ შენგნით და-
ტევებულნი,
შენნი მონანი ქართველნი, შენით ომს შიგან ქე-
ბულნი,
რად არ გვიწყალე და დაგვწვი ცეცხლნი დაგვიგდე
გზნებულნი,
ვაჲ, თუ შენს უკან მტერთაგან ვიქმნეთ ლახვრითა
ვსებულნი!
იტირეს და თავსა იცეს, მოთქმით იყო მწუ-
ხარება,
ვინც ისმენდა მათსა ხმასა მტერსაც აქენდათ მქმუნ-
ვარება,

ვერ ნახვედი მუნა მყოფსა რომ ჰქონოდა მღუპარება.
აწ ქართლელნი გამოვიდნენ, იმერთ მიხვდა შექირვება.
ტირილი მეორე ერთობლივ იმერთა, მეგრელ-
თა და გურიათა და აფხაზთა თამარ ქეფისა
სედა.

მოვიდნენ, მოდგნენ იმერნი ძველ ჩვეულების
გვართა,
მარცხნივ და მარჯვნივ თავადნი, ჩოქი ჰქმნეს გა-
რიგებითა,
წინ აზნაურთა კრებულნი ტირიან ხმით შესაზართა,
კანდელაკ-მაგლობელნი და უტევენ მოთქმას ზართა.
მოსთქმენ, მეფეო, კეთილო, ტკბილად მშობე-
ლო ერთაო,
სად წახველ იმერთ დიდებავ, მოწყალე ყმათა ბერ-
თაო,
აწ რას გვიპირებ, რას გვიზამ მონათა ყმათა შენთაო,
რად მოგვაშორე ერთგულნი შენთა კეთილთა მზე-
თაო.
შეგკადრებთ შენი მონანი, შენი ერთგულნი
ყმანიდა,

ვაჲ არა გვესმის ჩვეულთა ეგ შენი ტკბილი ხმანიდა,
სად არის წინა წყალობა, ჩვენთვის ყოველთვის
მზანიდა,
ვაი რა გვესმის, რას ვხედავთ, ანუ რისა გვაქვს თქმა-
ნიდა!
ვის დაგვიტევე მონანი შენნი ერთგულად
მხმობელნი,
ვაი რასა ვსტირთ, რასა ვხმობთ, აწ ვისი ვიყენეთ
მკობელნი,
ჩვენ შენგნით ომში ქებულნი, შენგნით მტერზედა
მსწრობელნი,
ვაჲ თუ შენს უკან უცხო თესლთ მათ მახვილი
გვცენ მსობელნი!

ტირილი საათაბაგოსაგან შესამე თამარ ქეფისა.

იმერნი ადგნენ გაბრუნდნენ ტირილ-თავ-პირის
ცემითა,
მოვიდნენ ათაბაგელნი არ მხიარულად შევებითა,
მესხნიც მათთანა ტიროდნენ მრავალ ცრემლ ცხე-
ლის გზებითა,

„რამდენია საჭირო კაცისთვის“, „ჩემი აზრებია“, „მოთხოვნა სამ მოხსენებულზე“ სხვანი. მე ვკონებ ამ წიგნაკებში არაფერსა და წინააღმდეგო არ არის საჩუქრებისა ზნეობისა, ძლიერ მსურს, რომ ამისთანა საჩუქებლო წიგნაკები დაიბეჭდოს ქართულ და სულში გაფრცხვლდეს.

მე. ძლიერ სამშუხარო არის თქვენი ერთი მსჯელობა კრან-ტოლსტოის წიგნებ შესახებ. მე შენი ვინაობა არ ვიცი და ავ გამოვიკითხავ. ვთხოვ საწუენად ნუ მიიღებ ჩემს მამაშვილურ დარიგებას და რჩევას. შეელება ეს ჯერ ჩემი დარიგება და სიტყვები საუენად დავირჩეხ, მაგრამ ბოლოს, როცა უტყვად შეიგნებ და შეისწავლი, კიდევ დამაძღვლებ. აი რა უნდა ვითხრა თქვენ: კარგი და ჰატოისანი მოსწავლე უკველთვის თავის მასწავლებლებს სურს რომელიმე წიგნის წაკითხვა, ან გადათარგმნა. თქვენ, როგორც ჩანს, არ დაკითხვიხართ მასწავლებელს ტოლსტოის წიგნაკის წაკითხვის და გადათარგმნის შესახებ. რომ მასწავლებელს დაკითხოდით, ის არასოდეს არ გირჩევდა დროს დაკარგვას მაგ წიგნის სათარგმნელად. ამ წიგნაკის წაკითხვა და თარგმნა შენ ალბათ ვირჩია რომელიმე კონებით მახინჯმა, რომელმანაც ალბათ არ იცის ტოლსტოის წიგნების ნამდვილი აზრი და მიზანი, ამისთანა ჰიროები დღეს ბევრი არიან ჩვენში! ესენი არიან რომელიმე საშუალო სასწავლებლებიდან გამოკლებულნი ან თავის ნებით გამოუღონი, რომელთაც ხელში ჩაგარდნიათ მარს და სხვა უცხოეთელ შესანიშნავ მწერანათარგმნი წიგნები. ამოუკითხავსთ

აქა-იქ რამდენიმე ადგილები. ამ წიგნებს ისე აურ-დაურევია მთი ტვინი, რომ რიგიანი მსჯელობა აღარ აქვსთ საგნებზე. ამ კონებით მახინჯთაგან ერთი მარკსის აზრების მიმდევარია მეორე დარვინის, მესამე ბოკლისა და სხვანი კიდევ სხვების. სჯიან, ქადაგებენ, მაგრამ მთი მსჯელობა არეულ დარეულია; რიგიანი ჰიროები არც კი იკადრებენ მათთან ბასისა; ასეთ ჰიროთ შეუძლიათ მხოლოდ მოსწავლეობა მოტყუება, გატყუებენ კიდევ და სამშუხაროდ გულს გიგორებენ თქვენს ჰიროდანი მუშაობაზე და ამით დიდათ გაბრკოლებენ სწავლას საქმეში. თუ ეველა გაკვეთილებს ბევრთად სწავლობ, სად ეკენება დრო ამ წიგნების სათარგმნელად? თუ დროს მოვობ, რატომ იმისთანა წიგნებს არ კითხულობ, რომელნიც შენი ჰიროდანი სავალდებულო და სასწავლო საგნების შესწავლოდ. განა კარგათ გაქვს მასწავლილი საღმრთო წერილის კითხვა და მისი ტიბიკონი? არ ძვერა, რომ ეველა სავალდებულო საგნებში კარგად მომხადებუდი იყო. რა ხელობისათვისაც კმხადები კაცი, ის ხელობა კარგად უნდა შეისწავლო. შენ ემხადები სამდევლოთ. მდევლობა ისეთი მძიმე მოვალეობაა, რომ ამ მოვალეობას მარტო სასწავლეობაში კი არა, არამედ მთელს შენს სიცოცხლეში უნდა სწავლობდე. მდევლობა ერთად ერთი კაცი სამწესობაში, რომელიც სანთელივით უნდა ანათებდეს და კონებით ეველაზე მძლავრ იდგეს. ეველას შესაფერ ჰასუხს უნდა აძლევდეს, ეველას უნდა არიკებდეს. ვის და რას ასწავლი, როგორ დაარიკებ, თუ შენ თვითონ არა იცი რა? ზოგიერთებს მოსწონს ტოლსტოის არაკი,

უმფროსის ბედნიერებაზე, ასრულებს მის მოთხოვნი-
 ლებათა და წადილთა, და ამასთან თვის თავზედაც
 ზრუნავს, დროს ახმარებს თვის ოჯახის კეთილ-
 დღეობასაც, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში თვის
 საყვარელ ბატონის გულისათვის ხელს იღებს პირად
 ბედნიერებაზე.—ნიშნავს კაცს, რომელიც აერთებს პი-
 რად და საზოგადო ინტერესებს, შრომობს როგორც
 თვის თავის სარგებლობისთვის, ისე მოყვასთა სიკე-
 თისათვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, როცა
 საქმე მოითხოვს, უარ-ყოფს პირად ბედნიერებას სა-
 ზოგადოების ბედნიერებისათვის. ამისთანა კაცი ჯილ-
 დოვდება ღრმა პატივისცემითა და სიყვარულითა.
 მაგრამ უფრო ღრმა და ძლიერი პატივისცემის ღირ-
 სი ხდება ადამიანი—„მონა ყოველთა“. მონა მთელი თვი-
 სი არსებით ეკუთვნის ბატონს, იმყოფება მის სრულ
 უფლებაში და განკარგულებაში, ცხოვრებს მარტო
 მისი ინტერესებით და დავიწყებული აქვს თვისი
 «მე». ეს მონა მოასწავებს კაცს, რომელიც ცხად-
 ყოფს თვისი თავის უარყოფის და თავ-განწირვის
 უმაღლეს ხარისხსა, რომელსაც სრულად არ აქვს
 სახეში პირადი ინტერესები და თავგამოდებით ემსა-
 ხურება საზოგადოებას. „მოსამსახურობა და მონო-
 ბა ყოველთა“ შეუძლიათ არა მარტო დაბალ წოდე-
 ბის პირთა, არამედ მაღალ ხარისხოვანებსაც, საჭიროა
 ოღონდ, რომ უკანასკნელნი არარად სთვლიდნენ
 თავიანთ მაღალ წოდებასა, არ უცხოობდნენ და არ ვა-
 ნეშორებოდნენ დაბალ ხალხსა, იახლოვებდნენ მის
 ინტერესებს, თანაუგრძნობდნენ და თანაუზიარებოდნენ
 მის სიხარულსა და მწუხარებასა, საქმით ეწეოდნენ
 მას და მის გულისთვის მოიკლონ ქონებრივი შეძ-
 ლება.

ვეთიმე კაპახიძე.



სამწუხარო მოვლენა.

ამას წინათ ერთი სასწავლებლის მოწაფე
 შიდა ჩემთან რჩევის საკითხავად იმის შე-
 სბ, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი ერთი
 ძა ხელნაწერის-თარგმანის დასაბეჭდავად.
 ამე ხომ არ ვისურვებ ჩემს გამოცემაში ამ
 ხელნაწერის დაბეჭდვას. მე დარწმუნებული ვარ,
 რომ შეტობა და გაგება ეოველივე იმისა,
 რა ითქვა როგორც ჩემგან ისე ამ მოსწავ-
 ლსაგან სსენებული ხელნაწერის შესახებ,
 უხრებლად არ იქნება როგორც ზოგიერთ
 მძობელთათვის, ისე თვით მოსწავლეთათვისაც
 და ამიტომ ვბეჭდავთ აქვე.

მოსწავლე.

მე გადავთარგმნე რუსული
 ენიდან ერთი მშენიერი წიგნაკი გ. ნ. ლ.
 ტოლსტოისა და მინდა მისი დაბეჭდა, და
 თქვენს მსახურად, თუ როგორ უნდა მო-
 ვიქცე. ან თქვენ ხომ არ მიიღებთ თქვენ თავ-
 ზე ამ თარგმანის დაბეჭდვას ჯერეთ გაზეთში
 და შემდეგ წიგნაკათ გამოცემას?

მე.

რა წიგნაკი გადათარგმნეთ გრ. ტოლ-
 სტოისა? ვვითხე მე; იმისი ზოგიერთი წიგ-
 ნაკები ნეტავი რუსულ ენაზედაც არ იევენ
 დაბეჭდილნი, და ქართულად რა სასარგებლოა
 ვიდრე მათი გამოქვეყნება? მანც რომელი
 წიგნაკი გადათარგმნეთ გრაფი ნ. ლ. ტოლ-
 სტოისა?

მოსწავლე.

ვევლა იმის წიგნაკები, ბა-
 ტონო, ხომ მოგეხსენებათ, შესანიშნავი რა-
 მებია და ძლიერ სასარგებლოც. ამას მარტო
 მე კი არა ესლა მთელი ლიტერატურა და
 საზოგადოება აღიარებს საქვეყნოდ. მაგალი-
 თებრ: მისი წიგნაკები: «რით ცხოვრებს კაცი?»

ქრისტე ალღვა!

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო გიორგი!

მე თქვენ არ გიცნობ და არც მინახავხართ, მაგრამ გაგიცანი თქვენი წერილით, რომელიც დაბეჭდილი იყო ამას წინეთ ქურნალს „მწყემს“-ში. იმ წერილმა დიდათ მასიამოვნა და ქრისტიანული სიყვარულით თქვენთან დამაკავშირა. ვისი გული არ აღივსება სიხარულით, როცა გესმის, რომ ვისმეს განუზრახავს მიურუებულ სოფლებში სწავლა-მეცნიერების გავრცელება იმ დროში, როგორც არის ჩვენი დრო. ვინ არ მიეგება იმ კაცს აღუცებით, რომელსაც განუზრახავს სასარგებლო ქრისტიანული ზნეობრივი და სარწმუნოების საკითხავების გავრცელება და კითხვა დაბალ ხალხში. «მწყემსის» რედაქციას, რასაკვირველია, იმედი აქვს თავიანთ მოძმეთა, რომ ისინი წაუკითხვენ სამწყსოთა იმ სასარგებლო საუბრებს და სხვა სასარგებლო წიგნებს, მაგრამ ზოგიერთებისათვის ისე შეუტყობელი რჩება ყველა ეს მშენიერი საუბრები, როგორც უბრალო გლეხკაცთათვის. შეგიძლება თქვენს მწყემსოებს სუსტი და აი მოგანთ თმევ რვა წიგნაკს უფასოთ, სთქვ, ძმაო, თესლი კეთილი ქრისტესა უნაში და დმერთი მემწე იქნება. რაც წიგნი გ-მოიცემა, უოველთვის უფასოდ გამოგიგზავნიო. *)

თქვენი პატივისმცემელი ქრისტეს მიერ მორჩილი ძმა იოსებ ლეჟავა, წყალწმიდელი.

*) ვსთხოვ რედაქციას ამ წერილის დაბეჭდვას და ამასთან გულითად მადლობას ვსწირავ ბ. ი. ლეჟავას, რომელმაც უფასოდ გამოგიგზავნა რვა წიგნაკი და შემდეგშიც გვირდება სასარგებლო წიგნაკების გამოგზავნას. გულით და სულით ვეცდები „მწყემსის“ რჩევა და თხოვნა აღვასრულო ხალხში საუბრების კითხვის შესახებ.

თქვენი და სხ... სოფლის მწერალი გ. თოფურაძე.

მოკალეობა თუ სიყვარული?

(მოთხრობა).

(გაგრძელება *)

VI.

დაკრძალვა მესამე დღეს—კვირისათვის იყო დანიშნული. ადრე დილითგანვე დაიძრა ხალხი სოფლისაკენ. ყველა იცნობდა და ყველას უყვარდა განსვენებული მ. ანდრია.

სამაზრო ქალაქიდანაც, რომელიც ოთხი ვერსით შორავდა სოფელს, გუნდ-გუნდათ მოდიოდნენ ეტლებით თუ ქვეითად მოქალაქენი. მ. ანდრიას მოძღვრული მოღვაწეობის ქება მრავალ ადგილს იყო მოფენილი. ყველანი ლაპარაკობდნენ სამწყსოისადმი მის სამაგალითო სიყვარულზე, სამწყსოის სულიერ და ყველა ცხოვრების მოთხოვნილებათა, რამდენადაც ძალონე შესწევდა, დაკმაყოფილების სურვილზე, მის მედიდურს სამსახურზე, სკოლაზე, ამ ქვეყნიურ ძლიერთა წინაშე დახმარება-შემდგომლობაზე.

ქალაქში კარვალ იცნობდნენ მ. ანდრიას მის ქადაგებებიდან, რომლებსაც ზოგიჯერ ადგილობრივს უკრებულო ტაძარში ამბობდა. ცხოველი, ყველასათვის მისახვედრი შინაარსი, ჩინებული წარმოთქმა, ქეშმარიტი ღრმა გრძნობა, მოყვასთადმი სიყვარულისა, რომლებიც იხედებოდნენ მქადაგებლის თითოეულს სიტყვაში, თითოეულს მიხვრა-მოხვრაში,—ყველასაგან ცნობილი მაღალი ზნეობრივი ცხოვრება,—ყველა ესენი იზიდავდნენ მსმენელთა სულსა და გულს მ. ანდრიასადმი. მის მოძღვრებას საეკლესიო კათედრიდან ისე ისმენდნენ, როგორც ციურ გამოცხადებასა.

მისი დარიგება სულსა და გულს ესაღბუნებოდა. მისი მხილება ბევრს აღვირს სდებდა... როდესაც ის ქადაგებას ევირებოდა, საკრებულო ტაძარში, იმ დღეს ტევა აღარ იყო მსმენელთაგან.

მ. ანდრიას პატივისა და თაყვანის მცემლები ახლა ეშურებოდნენ, რომ მოეხადათ მის წინაშე უკანასკნელი ვალი.

ამგვარმა სიკვდილმა მ. ანდრია შემოსა მწყემს-

სამ მოხუც კაცზე ნათქვამი. ამ არაკით ლოცვა უარ-ყოფილია სრულებით და მხოლოდ ის არის სავალდებულო, რასაც თვითონ კაცის გონება შეთხზავს და გამოიკონებს. აბა გადათვალთ ერთ აფრიკაში მცხოვრები ველური ხალხი, რომელსაც არვინ არ ასწავლის არც ისტორიას, არც კატეხიზმოს და არც ტიპიკონს? როგორ ცხოვრობენ ეს ველურები? კარგია მათი ცხოვრება? კარგი ზნეობა აქვსთ? კარგი წყობილება აქვსთ?...

მოსწავლე. კრ. ტოლსტოი ასე სახელგანთქმული მწერალია და იმის ნაწერები დიდად მიღებულია საზოგადოებისაგან და როგორ დაფიქვრო, რომ ის მართლა ასე შესცდეს თავის ნაწერებში? მე მისი მიმდევარი კი არა ვარ. მაგრამ მისი ზოგიერთი წიგნაკები რომ წამიკითხავს, ვხედავ. რომ ძლიერ სასარგებლონი უნდა იყვნენ.

მე. ესაა რომ მივეოთ ხელი კრიტიკულად ტოლსტოის არაკების და წიგნაკების განჩევას, შორს წავიკვივანს და ამდენი საბასო დრო არც მე მაქვს და არც შენ. გრაფ ტოლსტოი ძლიერ ნიჭიერი მწერალია, ეს ეჭვს კარეშა, მაგრამ ნიჭი სხვა არის და ზნეობა სხვაა. შეიძლება კაცი ძლიერ ნიჭიერი ბელეტრისტი იყოს, მაგრამ ზნეობითი მხრით ძლიერ დაცემული და უპიცი. გრაფ ტოლსტოი როგორც ბელეტრისტი შეუდარებელია, მაგრამ ღვთის მეტეველებში მისი აზრები ერთობ არეულ-დარეულია. ერთ დროს მან დასწერა, ცოდვა რომ არ სუფევდეს ქვეყანაზე, კაცობრიობა უნდა გადაშენდესო. როცა მისმა მეგობრებმა გაკიცხეს იგი ამ აზრის წარმოთქმისთვის, შემდეგ ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეც კი ურჩევდა ეველას,

რომ ვინც ეველაფერს დაუტეებს ამ ქვეყნიერობაზე, ის ას წილ მეტად იქნება დაჯილდოებულიო. მოციქული ჰაველეც ურჩევს ხალხს, რომ ცოლებს ნუ შაირთავენო. აქედან გამოუვს მას, რომ ვითომც მოციქულებიც ქადაგებდნენ, რომ ხალხი გადაშენებულიყო დედა-მიწის ჰირიდან!. რამდენი ამისთანა შეუსაბამო აზრებია გავრცელებული მისგან, ვინ მოსთვლის. მე გირჩევ თავი დაანებო მაგისთანა წიგნების კითხვას და თარგმნას. აიღე, მაგალითებრ სასულიერო ჟურნალები და სთარკმე იქიდან საუბრები, მოთხრობები და სხვა ამისთანა ზნეობის შინაარსის წიგნაკები. აიღე მაგალითებრ, საეკლესიო მოამბის დამატება «სავეირაო საკითხავი», რომელშიაც მოთავსებულია იოანე ოქროპირის სიტყვა.—ქადაგებანი და მისი სიტყვა...
...
ვის სასარგებლო არ იქნება? აიღე კიდევ, მაგალითებრ, რუსული ჰალომნიკის დამატებები რა მშვენიერი საუბრებია აქ, მაგრამ ჩვენი ხალხისთვის შეუტეობელია...

მოსწავლე. მადლობელი ვართ, ბატონო. ამ დარჩებისათვის იგი გამოკვეთილია და წავიდა. მაგრამ ვუჭობთ, რომ ჩვენი სიტყვები მას სასიამოვნოდ დარჩენოდეს.

(გავრძელება იქნება).

